ლი ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუს-ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეკოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


ექიმი რეიხი

დაბრუნდა ქალაქში.

თვალებით ავად-მყოფების

მიღება შეიძლება უწინდებრივ არსენალის ქუჩა (წმ. დავითის მახლობლად), სახლი № 17. (3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

თამარ დედოფალი

შედგენილი

ა. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

ღირსეულს და განათლებულს

ოჯახში მიიღებენ ქალებს საქალებო სასწავლებლებში მოსამზადებლად.

პირობების შეტყობა შეიძლება ბორში, ბატ. დირექტორ სემენოვის ოჯახში. (10—3)

გამოვიდა და ისყიდება შემოკლებული

საქართველოს ისტორია

შედგენილი

მამსაშვილი-ცამციევის მიერ ექვთიმე ხელაძის სტამბაში ლორისმელიქოვის ქუჩაზე ქაშვეთის ეკკლესიის შენობაში

ფასი 70 კაპ.

საუკეთესო

ღვინო.

მიხაილოვის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირ-და-პირ, მიკირტუმოვის სახლში გავაღე საუკეთესო კახური ღვინების სარდაფი. მაქვს პატივი შევატყობინო საზოგადოებას რომ ჩემს სარდაფში ისყიდება ნამდვილი კახური შეუღებავი ღვინოები და მაგასთან იაფად.

კახური ღვინო წითელი და თეთრი 20 კ.—1 მ. ბოთლი.

თუნგი 80 კ.—5 მ. ამას გარდა ვინც სხვა ადგილებიდან მოიწადინებს გამოწერას პირ-და-პირ ჩემგან და ბლომად, ჩვეულებრივი უსტუპკა ექნება.

იაგორ სერგეის-ძე სარქისოვი

(2—2)

პატივი მაქვს ვაცნობო ტფილისში მობრძანებულთ მოვაჭრეებთა, რომ ამ წლის 1-ას ოქტომბრიდგან მე ავილე იჯარით სიონის სობოროს პირ-და-პირ ბ. ონანოვის ახალი ქარვასლა, რომელშიაც ვაწყობ ნომრებს რკინის კრაოტებით, ფეჩებით და ყოველი მოწყობილება იქმნება სუფთად.

ფასი იქმნება იმავე წესით, როგორათაც სხვა ქარვასლებშია, იმავე რიგად, როგორადაც მქონდა ყ-რხმ ზის ქარვასლა იჯარით.

ამავე ქარვასლაში იმყოფებიან შუაეტაჟში № 48 კომმისიონერი გ. ია. რატიანი და ყ. ი. ჩიქოვანი.

მოიჯარადრე მეორე გილდიის

გევორქ ვარლამის-ძე ახნაზაროვი.

(10—7)

ისყიდება

ჩაი

ძმათა კ. და ს. პაპოვების ნამდვილი ფირმისა გირვანქობით და ყუთებით

ფასი გირვანქისა 1—40-[illegible] ვიდრე 3—მანეთამდის ათი პროცენტის დაკლებით—მანეთიდამ. არწრუნის ქარვასლაში სიონის გვერდით ბ. ალხაზოვის კანტორაში. (6—5)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

ერობა

თხზ. ნ. ნიკოლაძისა

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი 15 კაპ.


კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზა.

# განცხადება

კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის სამმართველო ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 სეკტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთობას წამსვლელთათვის და უკანვე წამოსასვლელად დანიშნულნი არიან განსაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის იმ რიგით, მატარებელში კი რომელნიც მუდმივ მიდიც-მოდიან—იგინი არ მიიღებიან.

30 სეკტემბერს

| თბილისიდამ | მცხეთიდამ |
|---|---|
| ღამისა 6 საათზე. | ღამისა 7 საათ. |

1-ლს ოქტომბერს

| | | |
|---|---|---|
| დილისა | 6 საათზე 53 მინუტზე | დილ ისა საათ. 11 მინ. |
| | 8 საათზე 13 მინუტზე | 9 საათ. 11 მინ. |
| | 10 საათზე 01 მინუტზე | 11 საათ. 01 მინ. |
| | 11 საათზე 03 მინუტზე | შუადღისას 12 საათ. 05 მინ. |
| შუადღისას | 12 საათზე 10 მინუტზე | 2 საათ. 15 მინ. |
| | 1 საათზე 24 მინუტზე | 4 საათ. 25 მინ. |
| | 3 საათზე 13 მინუტზე | 5 საათ. 22 მინ. |
| | 6 საათზე 13 მინუტზე | ღამისა 7 საათ. 14 მინ. |
| ღამისა | 7 საათზე 17 მინუტზე | 8 საათ. 18 მინ. |
| | 8 საათზე 21 მინუტზე | 9 საათ. 55 მინ. |
| | 9 საათზე 58 მინუტზე | 11 საათ. 05 მინ. |

რომ ადრინდელივით ვიწროობა და უწესოება არ იქნას მცხეთის სტანციაში ბილეთების გაყიდვის დროს ბილეთები გაიყიდება მარტო თბილისის სტანციაზე მცხეთაში წასასვლელად და წამოსასვლელათ. ამ ბილეთებით შეიძლება მოგზაურობა მარტო იმ ეკსტრენნი მატარებლებით რომელნიც 30 სეკტემბერს და 1 ოკტომბერს მცხეთასა და თბილისს შუა ივლიან.

რადგანაც თითოეულს ვაგონზე იქნება: 1 კლასში 48 ადგილი, 2 კლასში—128 და 3 კლასში 600 მოგზაურებს არ შეუძლიათ საყვედური განაცხადონ, როცა ეს ადგილები მთლათდაჭერილი იქნება და უნდა უცადონ სანამ სხვა ვაგონს დაამზადებენ.

იმ მოგზაურებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოთ იქნებიან გამოერთმევათ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ექნებათ რკინის გზის აგენტებს.

1 ოქტომბერს მცხეთის, მეიდანზე, ფოჩტისა და რკინის გზის სტანციების შუა დაუკრავს სამხედრო მუზიკა, დილის თერთმეტ საათიდამ ღამის თერთმეტ საათამდის.

ის პირნი რომელნიც ისურვებენ ეკსტრენის მატარებლებით წამოსვლას 30 სეკტემბერს და 1-ლ ოკტომბერს მცხეთიდამ ტფილისში იმათთვის ბილეთები გაიყიდება მცხეთაში.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Сентября 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი